

კლიენტად აყვანის პროცედურა

14 სექტემბერი, 2023 წ.

კლიენტად აყვანის პროცედურა

- ▶ კლიენტის შესახებ ინფორმაციის მოპოვება
 - ▶ კლიენტი
 - ▶ კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრე
 - ▶ სხვა პირები
- ▶ კლიენტის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის დადოკუმენტირება

კლიენტად აყვანის პროცედურა

- ▶ კლიენტად აყვანის პროცედურა უნდა გაინეროს პოლიტიკაში („შიდა ინსტრუქცია“)
 - ▶ არსებული პროცესის შესწავლა
 - ▶ კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი
 - ▶ ცვლილებების დანერგვა
- ▶ კლიენტად აყვანის პროცედურა უნდა აფასებდეს:
 - ▶ არსებობს თუ არა კლიენტთან/მომსახურებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი;
 - ▶ გაქვთ თუ არა კონკრეტული მომსახურების განევის შესაძლებლობა (კვალიფიკაცია და გამოცდილება) და მზაობა.

დაუშვებელია კლიენტთან ხელშეკრულების გაფორმება პროცედურების დასრულებამდე.

მიზნები

- ▶ კლიენტის აყვანის პროცედურა მიზნად ისახავს:
 - ▶ კლიენტის შესახებ ინფორმაციის მოპოვება (KYC);
 - ▶ კლიენტის აყვანამდე რისკის იდენტიფიკაციასა და შეფასებას;
 - ▶ კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას;
 - ▶ კონსულტაციების საჭიროების დადგენა და აღნიშნული კონსულტაციების გავლას;
 - ▶ კლიენტის აყვანისთვის საჭირო შესაბამისი თანხმობის მიღებას.

ინფორმაცია კლიენტის შესახებ

- ▶ კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაცია;
- ▶ მომსახურების მიღების მიზანი;
- ▶ ინფორმაცია კლიენტის საქმიანობის შესახებ;
- ▶ ინფორმაცია კლიენტის შემოსავლების შესახებ;
- ▶ კლიენტის რეპუტაცია;
- ▶ კლიენტის საქმიანი ურთიერთობები/პარტნიორები;
- ▶ ქვეყანა/ქვეყნები, სადაც საქმიანობს კლიენტი;
- ▶ და სხვა.

რისკ-ფაქტორები

- ▶ კლიენტის შესწავლისას (CDD) განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკ-ფაქტორებს, მაგალითად:
 - ▶ კლიენტის უჩვეულო ან საყურადღებო გარემოებების გამოვლენა;
 - ▶ არის თუ არა კლიენტი პოლიტიკურად აქტიური პირი;
 - ▶ როგორია კლიენტის მფლობელობითი სტრუქტურა;
 - ▶ ნეგატიური ინფორმაცია კლიენტის შესახებ;
 - ▶ იარაღით ვაჭრობა ან იარაღის წარმოება;
 - ▶ ხელოვნების ნიმუშებით, ძვირფასი ქვებით, ძვირფასი მეტალებით და ა.შ. ვაჭრობა;
 - ▶ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა;
 - ▶ კრიპტოვალუტით ვაჭრობა;
 - ▶ სათამაშო ბიზნესის სფეროში საქმიანობა.

ინფორმაციის წყარო

- ▶ საჭირო ინფორმაციის მიღება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა წყაროდან:
 - ▶ კანონმდებლობის განსაზღვრული დოკუმენტ(ებ)ი (პასპორტი, ამონაწერი რეესტრიდან და ა.შ.);
 - ▶ კლიენტისგან (კლიენტის კითხვარი, თვითდეკლარაციის ფორმა);
 - ▶ სახელმწიფო ორგანოების ინფორმაცია/დოკუმენტაცია:
 - ▶ ოფიციალური მოწმობა/სერტიფიკატი;
 - ▶ ოფიციალური სახელმწიფო რეესტრები.
 - ▶ სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია:
 - ▶ პარტნიორთა შეთანხმება (წესდება);
 - ▶ აუდირებული ფინანსური ანგარიშგება;
 - ▶ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დეკლარაცია;

ინფორმაციის წყარო

- ▶ რეგულირებას დაქვემდებარებული პირების მიერ გაცემული დოკუმენტაცია (ბანკის ან სხვა რეგულირებადი ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობა და ა.შ.);
- ▶ საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროები, მათ შორის, ინტერნეტში არსებული ინფორმაცია.

წყაროების გადამოწმება

- ▶ კანონით განსაზღვრული წყარო
- ▶ სანდო და დამოუკიდებელი წყაროები
- ▶ სხვა წყაროები

ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციის გადამოწმების
აუცილებლობა

კლიენტის კითხვარი

ფიზიკური პირი

- ▶ სახელი და გვარი
- ▶ იურიდიული მისამართი
- ▶ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი
- ▶ პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ▶ პირადობის ან/და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის რეკვიზიტები
- ▶ სქესი
- ▶ მოქალაქეობა
- ▶ დაბადების ადგილი – ქვეყანა (აგრეთვე ქალაქი – ასეთი მონაცემის არსებობის შემთხვევაში)
- ▶ რეგისტრაციის მისამართი

იურიდიული პირი

- ▶ სახელწოდება
- ▶ რეგისტრაციის თარიღი
- ▶ იურიდიული მისამართი
- ▶ საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ▶ რეგისტრაციის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ▶ სამართლებრივი ფორმა
- ▶ ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მისამართი
- ▶ დირექტორის საიდენტიფიკაციო მონაცემები

კლიენტის კითხვარის ნიმუში

- ▶ გყავთ თუ არა ბენეფიციარი მესაკუთრე?
- ▶ დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ
- ▶ მომსახურების მიღების მიზანი
- ▶ საქმიანობის სფერო
- ▶ ქვეყანა/ქვეყნების, სადაც საქმიანობთ

3. საქმიანი ურთიერთობის მიზანი	
<p>რა მიზნით გსურთ აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობის მიღება?</p> <p><i>(გთხოვთ დეტალურად აღწეროთ გარიგებების სახეობა, ღირებულება და სიხშირე)</i></p>	
<p>რა არის თქვენი სამუშაო სტატუსი?</p> <p><i>(მაგ. დასაქმებული, პირადი ბიზნესი, სტუდენტი)</i></p>	
<p>რა არის თქვენი დამსაქმებელი ორგანიზაციის (ან პირადი ბიზნესის) სახელწოდება და მისამართი?</p>	
<p>რა არის თქვენი შემოსავლის წყარო?</p> <p><i>(მაგ. ხელფასი, დივიდენდი, ფასიანი ქაღალდები, უძრავი ქონების იჯარა)</i></p>	
<p>რა არის თქვენი ყოველწლიური შემოსავლის მოცულობა?</p>	
<p>ამ ფორმაზე ხელმოწერით ვადასტურებ მოწოდებული ინფორმაციის უტყუარობას და პასუხისმგებლობას ვიღებ, რომ კითხვარში მითითებული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ვაცნობო ამის თაობაზე ანგარიშვალდებულ პირს</p>	
სახელი და გვარი	
ხელმოწერა	
თარიღი	

რისკის შეფასება

- ▶ ინსტიტუციური რისკები V კლიენტთან/გარიგებასთან დაკავშირებული რისკები
- ▶ სამდონიანი შეფასება (მაღალი, საშუალო და დაბალი)
- ▶ კლიენტთან/კლიენტის საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოებები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს მაღალ რისკზე?
 - ▶ კლიენტი (მისი ოჯახის წევრი/პარტნიორი) პოლიტიკურად აქტიური პირია;
 - ▶ მაღალშემოსავლიანი კლიენტი, რომლის შესახებ ინფორმაციაც არაა საჯაროდ ხელმისაწვდომი;
 - ▶ რთული მფლობელობითი სტრუქტურა;
 - ▶ ნეგატიური ინფორმაცია;
 - ▶ შეუსაბამო სახვადასხვა წყაროებს შორის;

რისკის შეფასება

- ▶ ხომ არ საქმიანობს კლიენტი ისეთ სფეროში, სადაც მაღალია კორუფციისა და გავლენით ვაჭრობის რისკი, მაგალითად:
 - ▶ იარაღის ან საბრძოლო მასალის წარმოება/ვაჭრობა;
 - ▶ ხელოვნების ნიმუშებით ან სხვა ძვირადღირებული საქონლით (მაგალითად, იახტები), ძვირფასი ქვების ან ლითონების მოპოვება/ვაჭრობა;
 - ▶ ნავთობის ან ბუნებრივი აირის მოპოვება/ვაჭრობა;
 - ▶ მშენებლობა ან უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა;
 - ▶ კრიპტოვალუტით ვაჭრობა;
 - ▶ სათამაშო ბიზნესი.
- ▶ კლიენტის საქმიანობა ხომ არ უკავშირდება მაღალი რისკის იურისდიქციას ან ერთ-ერთ შემდეგს:

რისკის შეფასება

- ▶ FATF-ის მიერ განსაზღვრული მაღალი რისკის ქვეყნები, რომლებშიც ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სისტემა სტრატეგიული ხარვეზებით ხასიათდება;
- ▶ ევროკავშირის მიერ საგადასახადო საკითხებში არაკოოპერირებად ქვეყნებად აღიარებული იურისდიქციების სია;
- ▶ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკოტიკების კონტროლის სტრატეგიის ანგარიში;
- ▶ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ტერორიზმის შესახებ;
- ▶ “საერთაშორისო გამჭვირვალობის” კორუფციის აღქმის ინდექსი;
- ▶ საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის AML ინდექსი.
- ▶ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა;

რისკის შეფასება

- ▶ ბიზნესის ყიდვა-გაყიდვა;
- ▶ კომპანიების შექმნა და მართვა;
- ▶ დისტანციური მომსახურება;
- ▶ გარიგების ფასი და კომპლექსურობა;
- ▶ უჩვეულო ქცევა და საყურადღებო ნიშნები.

რისკის შეფასება

- ▶ რისკის შეფასება ხდება საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე და შეიძლება შეიცვალოს შემდგომ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.
- ▶ შესაძლებელია რისკის დონის განსაზღვრისთვის სხვადასხვა ფორმულების გამოყენება, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ იგი არ ახდენდეს რისკის ხელოვნურად მინიმიზაციას.
- ▶ არ შეიძლება კონკრეტული ფაქტორისთვის არაადეკვატურად დიდი ან პატარა წონის მიცემა.
- ▶ რისკის შეფასებაზე კომერციული სტიმული არ უნდა ახდენდეს გავლენას.

რისკის შეფასება

- ▶ რისკის შეფასების პროცესი არ უნდა იყოს ორგანიზებული იმგვარად, რომ კლიენტისთვის მაღალი რისკის მინიჭება ფაქტობრივად შეუძლებელია.
- ▶ რისკის დონე უნდა ექვემდებარებოდეს პერიოდულ გადახედვას.
- ▶ რისკების შეფასება ისე უნდა იყოს დოკუმენტირებული, რომ შემონიშნების დროს შესაძლებელი იყოს რისკების მინიჭების/გადახედვის მთლიანი პროცესის აღდგენა (მაგალითად, რისკების შეფასების თარიღი, კლიენტის რისკის დონე, მეთოდოლოგია და რისკფაქტორები).

რისკის შეფასება

- ▶ სასურველია, რისკების შეფასება აღირიცხოს სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით, მაგრამ შესაძლებელია წერილობით ფორმითაც (მაგალითად, შესაძლებელია რისკის შეფასების ფორმის შემუშავება).
- ▶ რისკის შეფასების პროცედურა უნდა აღინეროს პოლიტიკასა და პროცედურებში.

რისკის მატრიცა

Risk indicator	Inherent risk scoring	Mitigation/Controls	Controls	Residual risk
High-risk clients	High	<p>個人・分別・組合は、資金洗浄の典型的半段である。実質が左から順に行われるとする又はは存在するが、通常は別々にあるいは同時に実行される。預入は、犯罪行為から得られた一定の現金を、金融システムあるいは有価証券市場サービスへ物理的に取り入れることを指す。分別は、現金の出所を、貸付の金融機関との取引を遡ることによって、犯罪活動という入元から分離することを指す。当然に、取引は取り込まれた口座で実施される。組合は、銀行行為によって得られた現金と合法的に得られた現金を組合し、所有権において合法的な権利を持たせることを指す。^[1]</p>	3	Moderate
High-risk jurisdictions	Moderate	<p>洗钱步骤首先以某种名义留存，然后经过一系列的交易或转账，进入合法名义之下，因为各国政府多半提供洗钱行为监管制，金融监管机构将一定金额（视自由法律制定）以上的交易呈报监管机构，为了规避监管，其中一种办法是存入人名或公司的账户，这些账户彼此互不相联，之后通过银行、开立支票等方式转入犯罪者的名下，由于这些交易的金额不大，而且往往通过银行方式交易，甚至利用某些国家或地区可以开设匿名账户或公司之便，在中间环节，另一部分则是利用虚拟货币公司，将犯罪所得通过这些公司进行转账，以此方式来规避监管以及监管当局给一家公司，最后转入犯罪者的名下，表面上看起来是合法的，实际上是为了转移资金而做的假交易，也有人直接将洗钱所得物品、古董、不动产等变卖成现金，转移到犯罪者手上后再完成假手假写现金。</p>	3	Low
High-risk industries	High	<p>洗钱步骤首先以某种名义留存，然后经过一系列的交易或转账，进入合法名义之下，因为各国政府多半提供洗钱行为监管制，金融监管机构将一定金额（视自由法律制定）以上的交易呈报监管机构，为了规避监管，其中一种办法是存入人名或公司的账户，这些账户彼此互不相联，之后通过银行、开立支票等方式转入犯罪者的名下，由于这些交易的金额不大，而且往往通过银行方式交易，甚至利用某些国家或地区可以开设匿名账户或公司之便，在中间环节，另一部分则是利用虚拟货币公司，将犯罪所得通过这些公司进行转账，以此方式来规避监管以及监管当局给一家公司，最后转入犯罪者的名下，表面上看起来是合法的，实际上是为了转移资金而做的假交易，也有人直接将洗钱所得物品、古董、不动产等变卖成现金，转移到犯罪者手上后再完成假手假写现金。</p>	3	Moderate
PEPs	High	<p>حسن أو تبييض الأموال جريمة اقتصادية تهدف إلى إضفاء أثر حية قانونية على أموال محرمة، تعرض حياة تها أو التصرف فيها أو إدارتها أو حفظها أو استئثارها أو إيداعها أو استثمارها أو تحويلها أو نقلها أو التنازل عن التنازل هي جريمة إذا كانت متحصلة من جر الم مثل زراعة وتصنيع النباتات المخدرة أو الحوادر والمواد المخدرة وحبوبها وتصديرها والاتجار فيها، واحتطاب وسائل النقل، واحتجاز الأشخاص وجر الم الإزاح وتحويلها، والنصب وحيازة الامانة والتفتيش، والحش، والنجور والدخارة، والاتجار وتهريب الاتار، والجنايات والجحج المخدرة بأمن الدولة من جهة الحارح والداخل، والرتوء، واحتطاب المال العام والمخدرات، والحذر، وجر الم المسكوكات والتزييف المزورة والتزوير.^[1]</p>	3	Moderate

რისკის შეფასების მეთოდოლოგია

რისკის შეფასების მეთოდოლოგია

ალბათობის სკალა

ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების ალბათობა	
3 - მაღალი	შეიძლება მოხდეს წელიწადში რამდენჯერმე – მაღალი ალბათობა
2 - საშუალო	შეიძლება მოხდეს წელიწადში ერთხელ – დაბალი ალბათობა
1 - დაბალი	შეიძლება მოხდეს უფრო იშვიათად ვიდრე წელიწადში ერთხელ – ძალიან დაბალი ალბათობა

თანდაყოლილი რისკი

თანდაყოლილი რისკი			
გავლენა ალბათობა	1	2	3
1	დაბალი	დაბალი	საშუალო
2	დაბალი	საშუალო	მაღალი
3	საშუალო	მაღალი	მაღალი

ეფექტურობა

კონტროლის დონე	ეფექტურობის აღწერა
3 – მკაცრი	დანერგილია და გამოიყენება სრულიად ეფექტიანი კონტროლის ზომები
2 – ეფექტური	რისკის მართვა ხდება ადეკვატურად, მაგრამ არსებობს გაუმჯობესების შესაძლებლობა - ზომები მუშაობს ადეკვატურად და ეფექტურად
1 – არაეფექტური	რისკის მართვა არ ხდება ადეკვატურად, აუცილებელია არსებითი გაუმჯობესება, მაგრამ ზომებს აქვს გარკვეული ეფექტი / არ არსებობს კონტროლი ან კონტროლი არაეფექტურია.

ნარჩენი რისკი

თანდაყოლილი რისკი კონტროლის ზომები	მკაცრი	დაბალი	საშუალო	მაღალი
	ეფექტური	დაბალი	დაბალი	საშუალო
	არაეფექტური	დაბალი	დაბალი	საშუალო
	არაეფექტური	საშუალო	საშუალო	მაღალი

ცვლილებების აღრიცხვა

3. Update log

Date of change	Reason	Changed by	Signed off

გადაწყვეტილების მიღების პროცესი

- ▶ გადაწყვეტილების მიღება უნდა ხდებოდეს შესაბამისი ინფორმაციისა და მონაცემების საფუძველზე კოლექტიურად, მათ შორის, შესაბამისი რანგისა და კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებისა და სპეციალისტების ჩართულობით.

გადაწყვეტილების მიღების პროცესი

- ▶ გადაწყვეტილების მიღება უნდა ხდებოდეს შესაბამისი ინფორმაციისა და მონაცემების საფუძველზე კოლექტიურად, მათ შორის, შესაბამისი რანგისა და კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლებისა და სპეციალისტების ჩართულობით.

გადაწყვეტილების დოკუმენტირება

- ▶ ანგარიშვალდებულმა პირმა ელექტრონული ან/და დოკუმენტური ფორმით უნდა აღრიცხოს და შეინახოს გარიგებასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:
 - ▶ გარიგების სახე და შინაარსი (მიზანი და საგანი);
 - ▶ გარიგების დადების/შესრულების ადგილი და თარიღი;
 - ▶ გარიგების ფორმა და მოქმედების ვადა;
 - ▶ გარიგების თანხა/ღირებულება და ვალუტა;
 - ▶ კლიენტის და კლიენტის სახელით მოქმედი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
 - ▶ გარიგების მონაწილე სხვა პირის (კონტრაჰენტის) და მისი სახელით მოქმედი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

გადაწყვეტილების დოკუმენტირება

- ▶ იმ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლის სასარგებლოდაც იდება/სრულდება გარიგება;
- ▶ ანგარიშის სახე, ნომერი, გახსნის/დახურვის თარიღი, რომლის მეშვეობით შესრულდა გარიგება (ასეთის არსებობისას).
- ▶ ინფორმაციის აღრიცხვა და შენახვა უნდა მოხდეს კლიენტთან დადებული გარიგებისა და კლიენტის დავალებით მომზადებული, დადებული და შესრულებული გარიგების თაობაზე.

ინფორმაციის დოკუმენტირება

- ▶ ანგარიშგაღებულმა პირმა უნდა შექმნას ინფორმაციის აღრიცხვის და შენახვის ისეთი პროგრამული (ელექტრონული) სისტემა, რომელიც მისი საქმიანობის ხასიათის და მოცულობის პროპორციულია და უზრუნველყოფს გარიგებების თაობაზე აღრიცხული ინფორმაციის დაცულობას და სწრაფი მოძიების შესაძლებლობას.
- ▶ აუცილებელია მოპოვებული ინფორმაციის კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმით დოკუმენტირება.

ინფორმაციის დოკუმენტირება

- ▶ უნდა მოხდეს არა მხოლოდ მოპოვებული ინფორმაციის აღრიცხვა და დოკუმენტების შენახვა, არამედ მნიშვნელოვანია მიღებული გადაწყვეტილებების დოკუმენტირებაც, მაგალითად, რისკის შეფასების დასაბუთება და ა.შ.
- ▶ ინფორმაციის შენახვა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ ადვილად იყოს ხელმისაწვდომი საჭიროების შემთხვევაში.



მადლობა ყურადღებისთვის